უფლება იყო

ის, ვინც ხარ

ინფორმაცია LGBTI+ პირებისა და ყველა იმ პირისთვის, ვინც თავშესაფარს ეძებს ბელგიაში
თავისი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის
ან სქესობრივი მახასიათებლების გამო

Gefinancierd door de Europese Unie
KLIQ
PRISME
CAVARIA
OPKOMEN VOOR GENDER- EN SEKSUELE DIVERSITEIT

მიმღების პერსონალის საყურადღებოდ

ეს ბროშურა განკუთვნილია თავშესაფრის მიმღებ ცენტრში მცხოვრები მრავალფეროვანი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვისა და სქესობრივი მახასიათებლების მქონე ადამიანებისთვის. ბელგიაში ხშირად ვსაუბრობთ „LGBTI+ადამიანებზე“. შეგიძლიათ მობინადრეს მისცეთ ამ ბროშურის ნაბეჭდი ვერსია, თუმცა ამის გაკეთებისას გაითვალისწინეთ მობინადრის უსაფრთხოება. ბროშურამ და მასში შემავალმა ინფორმაციამ შესაძლოა სხვა მობინადრეებს წარმოდგენა შეუქმნას მის ვინაობაზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს მობინადრეებისთვის სახიფათო და არასასიამოვნო სიტუაციები.
განიხილეთ ეს რისკი მობინადრესთან. თუ ამ ბროშურის ნაბეჭდი ასლის მობინადრისთვის გადაცემა უსაფრთხო არ არის, მაშინ მობინადრეს ასევე შეუძლია ბროშურასთან წვდომა ონლაინ რეჟიმში cavaria.be/brochure-the-right-to-be-yourself -ზე ან QR კოდის სკანირებით.

მეშვეობით

ბელგიაში თავშესაფრის მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ ქვეყანაში დევნას განიცდი იმის გამო, ვინც ხარ ან ვისაც უყვარხარ. თქვენი თავშესაფრის ძიების საფუძველი არის თქვენი სექსუალური ორიენტაცია, თქვენი გენდერული იდენტობა, თქვენი გენდერული თვითგამოხატვა, ან თქვენი სქესობრივი მახასიათებლები. რას ნიშნავს ეს ზუსტად და რა უფლებები გაქვთ ბელგიაში, დაწვრილებით არის ახსნილი ამ ბროშურის პირველ ნაწილში. შემდეგ ჩვენ მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ესმით გენდერი და სექსუალური მრავალფეროვნება ბელგიაში, ისეთი ტერმინებით, როგორიცაა LGBTQIA+, LGBTI+, ქვიარი და ა.შ. LGBTI+ გულისხმობს ლესბოსელ, გეი (ჰომოსექსუალ), ბი+, ტრანსგენდერ, ინტერსექს და სხვა ადამიანებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული თვითგამოხატვა ან სქესობრივი მახასიათებლები.

ამ ბროშურის მიზანია, მოგაწოდოთ რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელთა გამოყენებაც შეგიძლიათ თქვენი მოგზაურობის გასაგრძელებლად.ეს ბროშურა ამომწურავ მიმოხილვას არ წარმოადგენს. ჩვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მოიცავს რამდენიმე

თქვენი უფლებები, თუ თავშესაფარს ითხოვთ თქვენი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის ან სქესობრივი მახასიათებლების საფუძველზე

როგორც LGBTI+ პირს და მრავალფეროვანი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის ან სქესობრივი მახასიათებლების მქონე პირს, ბელგიაში თქვენ გაქვთ მრავალი უფლება, რათა შეძლოთ ისე ცხოვრება, როგორც გსურთ. ბროშურის ამ ნაწილში თქვენ ნახავთ ბელგიაში თქვენი ზოგიერთი უფლების მიმოხილვას.

სამწუხაროდ, ეს არ ნიშნავს, რომ ბელგიის საზოგადოებაში LGBTI+ პირები და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის ან სქესობრივი მახასიათებლების მქონე პირები ყველასთვის ისეთებად არიან აღქმულნი, როგორებიც არიან. თუმცა, ეს უფლებები საშუალებას გაძლევთ, შეიტანოთ საჩივარი, მაგალითად, თუ დისკრიმინაციის, სიძულვილის ან ძალადობის მსხვერპლი ხართ.

თავშესაფრის მოთხოვნის უფლება

საერთაშორისო დაცვა არის დაცვა, რომელსაც ქვეყანა აძლევს იმ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი ქვეყნის დატოვება მოუწიათ, რადგან ისინი იქ საფრთხეში იმყოფებოდნენ, მაგალითად, დევნის, ომის ან ძალადობის გამო. ამ დაცვას ასევე „თავშესაფარს“ უწოდებენ.

ყოველ ადამიანს აქვს ბელგიაში თავშესაფრის მოთხოვნის უფლება. ამისათვის თქვენ უნდა დაიცვათ პროცედურა. შემდეგ ბელგიის ხელისუფლება შეისწავლის თქვენს სიტუაციას და გადაწყვეტს, ხართ თუ არა დაცვისთვის შესაბამისი.

თავშესაფარი თქვენი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის ან სქესობრივი მახასიათებლების საფუძველზე

თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ თავშესაფარი ბელგიაში, თუ დატოვეთ თქვენი ქვეყანა დევნის გამო ან დევნის საფრთხის წინაშე დგახართ შემდეგი მიზეზების გამო:

- თქვენი სექსუალური ორიენტაცია
- თქვენი გენდერული იდენტობა
- თქვენი გენდერული თვითგამოხატვა
- თქვენი სქესობრივი მახასიათებლები

თავშესაფრის მოთხოვნა ასევე შეგიძლიათ სხვა საფუძვლით, როგორიცაა დევნა ან დევნის შიში თქვენი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო.

თუ თავშესაფარს თქვენი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის ან სქესობრივი მახასიათებლების საფუძველზე ითხოვთ, მნიშვნელოვანია, ამის შესახებ რაც შეიძლება მალე შეატყობინოთ თავშესაფრით უზრუნველყოფის ორგანოებს. ამის შესახებ დაგვიანებულმა შეტყობინებამ შესაძლოა თქვენი თავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურა გაართულოს. ასევე განიხილეთ ეს თქვენს ადვოკატთან, რომელსაც შეუძლია, ამაში დაგეხმაროთ.

ინტერსექსი თავშესაფრის მაძიებლების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ:

სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული თვითგამოხატვა და სქესობრივი მახასიათებლები: რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

აქ გამოყენებული სიტყვები, როგორიცაა სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული თვითგამოხატვა ან სქესობრივი მახასიათებლები, შესაძლოა თქვენთვის ახალი ან დამაბნეველი იყოს. სწორედ ამიტომ, ქვემოთ მოკლედ ავხსნით, თუ რას გულისხმობენ ისინი:

სექსუალური ორიენტაცია

ეხება იმას, თუ ვინ გიზიდავთ რომანტიკულად ან სექსუალურად.

ბელგიაში (და ბევრ სხვა ქვეყანაში) ადამიანების რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობებისადმი დამოკიდებულება ხშირად ძალიან კატეგორიულია. ხშირად, ადამიანები ფიქრობენ, რომ ურთიერთობა მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორისაა შესაძლებელი. მაგრამ არსებობს ამაზე უფრო მეტიც: მამაკაცებსაც შეუძლიათ სხვა მამაკაცებთან ყოფნა, ქალებს კი - სხვა ქალებთან. შეიძლება ვინმე შეუყვარდეს ან ვინმემ მიიზიდოს ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც თავს ქალებად ან მამაკაცებად არ გრძნობენ. ასევე არიან ისეთებიც, რომლებიც იშვიათად უყვარდებათ ან სექსუალურად იშვიათად იზიდავთ ვინმე.

გენდერული იდენტობა

გენდერული იდენტობა ეხება იმას, თუ როგორ გრძნობთ თავს, ღრმა შინაგან გრძნობას, რომელიც გაქვთ თქვენი სქესის მიმართ: თავს მამაკაცად გრძნობთ, ქალად, არცერთად თუ უფრო განსხვავებულად? ეს გრძნობა ყოველთვის არ ემთხვევა დაბადებისას მიკუთვნებულ სქესს.

გენდერი და სქესი ერთი და იგივე არ არის. ბელგიურ საზოგადოებაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ადგილას, ადამიანები ხშირად ორ ჯგუფად იყოფიან. ან მამაკაცი ხარ, ან ქალი. ეს გულისხმობს თქვენი სხეულის, თქვენი (ბიოლოგიური) სქესის დაკვირვებას. ამ დაყოფას, რომელშიც მხოლოდ ორი შესაძლებლობაა, ბინარულ დაყოფას ვუწოდებთ.

გარკვეული მოლოდინები დაკავშირებულია ამ ბიოლოგიურ დაყოფასთან. მაგალითად, მოსალოდნელია, რომ ყველა, ვინც გოგოდ დაიბადა, თავს გოგოდ იგრძნობს. და რომ ბიჭები თავს ბიჭებად გრძნობენ. მაგრამ, როგორც ვთქვით, თქვენი გრძნობები თქვენი გენდერის მიმართ შეიძლება არ ემთხვეოდეს დაბადებისას მიკუთვნებულ სქესს. მაგალითად, შეიძლება დაიბადეთ მამრობითი სქესის მახასიათებლებით, მაგრამ თავს ქალად გრძნობდეთ.

გენდერული თვითგამოხატვა

გულისხმობს, თუ როგორ გამოხატავთ საკუთარ თავს გარე სამყაროსთან, თქვენი ჩაცმულობის, ქცევის, ხმის ან სხეულის ენის მეშვეობით.

ადამიანის სქესისა და გენდერის მიხედვით, ხშირად კეთდება დაშვებები მის ინტერესებზე, ხასიათის თვისებებზე, სამუშაო არჩევანზე... ამას გენდერული როლები ეწოდება. მაგალითად: <<როცა მამა გარეთ გადის თავის ვაჟთან ერთად ფეხბურთის სათამაშოდ, დედა და ქალიშვილი ერთად ამზადებენ საჭმელს.>> ასევე, ხშირად მიიჩნევენ, რომ თქვენ შეიცვლით თქვენს ჩაცმულობას, ქცევას და თუნდაც თქვენს დამოკიდებულებას ამ გენდერული როლების მიმართ. მართლაც, ზოგიერთი ადამიანი საკუთარ თავს ისე გამოხატავს, როგორც მიღებულია, რომ „ქალურ“ ან „მამაკაცურ“ ხასიათს ატარებს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარ თავს საზოგადოების მოლოდინებისგან განსხვავებულად გამოხატავენ.

სქესობრივი მახასიათებლები

ფიზიკური მახასიათებლებია, როგორიცაა სასქესო ორგანოები, ჰორმონები და ქრომოსომები.

ზოგიერთ ადამიანთან დაკავშირებით, დაბადებისას გაურკვეველია, ბიოლოგიურად „მამრობით“ კატეგორიაში ჯდება თუ „მდედრობითში“, რადგან მათ აქვთ როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის სქესობრივი მახასიათებლები. ჩვენ ამას ინტერსექსს ვუწოდებთ.

ინგლისურ ენაში ხშირად გამოიყენება აკრონიმი **SOGIESC** რომელიც ნიშნავს „სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და თვითგამოხატვას და სქესობრივ მახასიათებლებს“.

ამგვარად, აღნიშნული აკრონიმი მოიცავს შემდეგ ტერმინებს: სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული თვითგამოხატვა და სქესობრივი მახასიათებლები. ჩვენ ასევე ვიყენებთ ამ აბრევიატურას ამ ბროშურაში კითხვის გასამარტივებლად.

ბელგიაში ხშირად გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა LGBTI+, LGBTQIA+, ქვიარი და ა.შ. მოგვიანებით განვიხილავთ ამ ბროშურაში, ზუსტად რას ნიშნავს ეს.

უფლებები თავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურის დროს

თავშესაფრის განაცხადის შეტანის შემდეგ, თქვენ გაქვთ უფლება, სულ მცირე, შემდეგზე:

მიღების უფლება: თქვენ გაქვთ უფლება, მოგათავსონ კოლექტიური მიღების დაწესებულებაში. ეს დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნება საწოლით, სანიტარული მოწყობილობებით (საშხაპეები და ტუალეტები) და საკვებით. თქვენ ასევე გაქვთ სოციალურ მუშაკთან კონსულტაციის უფლება. მოწყვლადი ადამიანები, როგორიცაა ტრანსგენდერები, შეიძლება მოთავსდნენ ისეთ ადგილებში, სადაც კონფიდენციალურობა უფრო მეტადაა დაცული, ვიდრე კოლექტიური მიღების დაწესებულებაში. თქვენს სოციალურ მუშაკს შეუძლია, მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია ამის შესახებ.

?

თქვენ, როგორც წესი, **სოციალურ მუშაკთან** დაკავშირება შეგიძლიათ თავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურასთან, ასევე გენდერულ და სექსუალურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული კითხვებით ან თუ პრობლემა გაქვთ თქვენს იდენტობასთან დაკავშირებით. ასევე შეგიძლიათ, თქვენს სოციალურ მუშაკს აცნობოთ, თუ გაქვთ პრეტენზიები მიმღებ დაწესებულებასთან ან თქვენს მეზობლებთან დაკავშირებით. თქვენი სოციალური მუშაკი ვალდებულია, დაიცვას პროფესიონალური კონფიდენციალურობა ეს ნიშნავს, რომ თქვენს სოციალურ მუშაკს არ შეუძლია თქვენ მიერ მოწოდებული ან მოთხოვნილი ინფორმაციის სხვებთან გაზიარება თქვენი ნებართვის გარეშე. ეს, რა თქმა უნდა, ეხება პირად საკითხებს, როგორიცაა თქვენი სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული თვითგამოხატვა ან სქესობრივი მახასიათებლები. შეამჩნიეთ, რომ თქვენი სოციალური მუშაკი არ ასრულებს ამ ვალდებულებებს? გთხოვთ აცნობოთ ეს თქვენს ადვოკატს ან სხვა სანდო პირს.

!

საყურადღებოა: ამჟამად, ყველა თავშესაფრის მაძიებელი დაუყოვნებლივ არ კმაყოფილდება, რადგან მიმღებ დაწესებულებებში საკმარისი ადგილები არ არის. ეს არალეგალურია და შესაბამისად, ბელგიის სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებებს. შედეგად, ძირითადად მარტოხელა მამაკაცებს ქუჩაში გადარჩენა ან ნაცნობებთან დარჩენა უწევთ.

თუ თქვენ, როგორც LGBTI+ თავშესაფრის მაძიებელი ან მრავალფეროვანი SOGIESC-ის მქონე თავშესაფრის მაძიებელი, ვერ მოიპოვებთ მიღებას, მნიშვნელოვანია, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ Vluchtelingenwerk Vlaanderen-ის (ფლამანდიის ლტოლვილთა დახმარების ქსელი) იურიდიულ დახმარების სამსახურს: https://vluchtelingenwerk.be/startpunt/legal-help-desk

ადვოკატის აყვანის უფლება: Uთავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურის დროს თქვენ გაქვთ ადვოკატის აყვანის უფლება. თქვენმა სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს, რომ ადვოკატი აიყვანოთ. კარგი ადვოკატი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენი SOGIESC-ის (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატულება, სქესის მახასიათებლები) საფუძველზე თავშესაფრის მოთხოვნისას. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ადვოკატი სათანადოდ არ გეხმარებათ, შეგიძლიათ ადვოკატი შეცვალოთ.

თქვენი ადვოკატი ასევე ვალდებულია, დაიცვას პროფესიონალური კონფიდენციალურობა და არ შეუძლია, თქვენი ნებართვის გარეშე სხვებს გაუზიაროს პირადი ინფორმაცია, როგორიცაა თქვენი სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა. მნიშვნელოვანია, ილაპარაკოთ თქვენს იურისტთან თქვენი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, თვითგამოხატვის ან სქესობრივი მახასიათებლების შესახებ — მაშინაც კი, თუ ამის თქმა რთული ან არასასიამოვნოა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ თქვენმა ადვოკატმა შეძლოს, საუკეთესოდ დაგეხმაროთ.

თარჯიმნის უფლება: თავშესაფრით უზრუნველყოფის ორგანოებთან გასაუბრების დროს თქვენ გაქვთ უფლება, გყავდეთ თარჯიმანი, რომელიც საუბარს გადაგითარგმნით. ასევე შეგიძლიათ, მოითხოვოთ თარჯიმანი თქვენს სოციალურ მუშაკთან მიმღებ ცენტრში ან ადვოკატთან შეხვედრების დროს.

შეიძლება რთული ან უხერხული იყოს ძალიან პირად საკითხებზე ლაპარაკი, მაგალითად, თქვენს სექსუალურ ორიენტაციაზე, გენდერულ იდენტობასა და თვითგამოხატვაზე ან სქესობრივ მახასიათებლებზე, როცა თარჯიმანიც იმყოფება. მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ თარჯიმანს აქვს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. თარჯიმანს არ შეუძლია, საუბრიდან სხვებს რამე გაუზიაროს. თარჯიმანს არ შეუძლია, გამოთქვას საკუთარი აზრი საუბრის შესახებ. საუბრის დროს ან მის შემდეგ შეამჩნიეთ, რომ თარჯიმანი არ ასრულებს ამ ვალდებულებებს? გთხოვთ აცნობოთ ეს თქვენს სოციალურ მუშაკს, ადვოკატს ან სხვა სანდო პირს.

შეგიძლიათ მიუთითოთ, რას ანიჭებთ უპირატესობას თარჯიმანთან მიმართებით. მაგალითად, შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ თარჯიმანი იყოს გარკვეული სქესის (მაგ., მამრობითი ან მდედრობითი) და რომ ის არ იყოს თქვენი ქვეყნიდან. თუ შესაძლებელია, თქვენი სოციალური მუშაკი, ადვოკატი ან თავშესაფრით უზრუნველყოფის ორგანო გაითვალისწინებს თქვენს მოთხოვნას.

თავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურების შესახებ

შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენს ადვოკატს, Vluchtelingenwerk Vlaanderen Legal Helpdesk-ს მისამართზე:
vluchtelingenwerk.be/startpunt/legal-help-desk
(ვებგვერდი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა, თუმცა იურიდიული დახმარების სამსახურს რამდენიმე ენაზეც შეგიძლიათ დაუკავშირდით)

ან Vluchtelingenwerk Vlaanderen-ის საინფორმაციო ხაზზე შემდეგ მისამართზე:
vluchtelingenwerk.be/infolijn
(ჰოლანდიურ, ინგლისურ, ფრანგულ, უკრაინულ, პუშტუ ან დარი ენებზე).

დისკრიმინაციის აკრძალვა

ბელგიის კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვისა და სქესობრივი მახასიათებლების საფუძველზე მთელ რიგ სფეროებში: სამსახურში, სახლის დაქირავებისას ან ყიდვისას, ექიმთან ან საავადმყოფოში, სკოლაში ან ტრენინგზე ყოფნისას და ა.შ.

დისკრიმინაცია გულისხმობს ცალკეული პირების ან ჯგუფების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას დაცული მახასიათებლების საფუძველზე, გამართლების გარეშე. დაცული პირადი მახასიათებლები მოიცავს პირის სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობას, გენდერულ თვითგამოხატვას და სქესობრივ მახასიათებლებს. ამგვარად, დისკრიმინაცია ნიშნავს, რომ თქვენ ნაკლებად კეთილგანწყობილად გექცევიან, ვიდრე მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა ადამიანებს, სრულიად უსაფუძვლოდ.

SOGIESC-ის თქვენი საფუძველზე დისკრიმინაციის მაგალითებია:

- ☹ ქალი სამსახურიდან გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც სამსახურში ხალხს უთხრა, რომ ლესბოსელია
- ☹ მეპატრონე უარს ამბობს გეი წყვილისთვის ქონების მიქირავებაზე
- ☹ კაცი სცემეს, რადგან დამნაშავის თვალში ის საკმარისად მამაკაცურად არ იქცევა
- ☹ მთარგმნელი უარს ამბობს ტრანსგენდერი ქალის დოკუმენტის თარგმნაზე

→ ბელგიაში ეს აკრძალულია. აქ, როგორც LGBTI+ პირს და მრავალფეროვანი SOGIESC-ის წარმომადგენელს, თქვენ გაქვთ უფლება იცხოვროთ, იმუშაოთ, ექიმთან მიხვიდეთ, ხელჩაკიდებულებმა იაროთ ქუჩაში თქვენს პარტნიორთან ერთად და ბევრი სხვა რამ გააკეთოთ.

თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მიუხედავად, შესაძლოა, თქვენ არ გახდეთ დისკრიმინაციის მსხვერპლი თქვენი SOGIESC-ის (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატულება, სქესის მახასიათებლები) გამო. თუმცა, მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის დროს, ზოგიერთი უფლება, მაგალითად, მუშაობის უფლება, დამატებით პირობებს ექვემდებარება. თქვენი, როგორც თავშესაფრის მაძიებლის უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ თქვენს ადვოკატს.

გამოხატვის თავისუფლება და სიძულვილის ენა

ბელგიაში თქვენ გაქვთ თვითგამოხატვის თავისუფლება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ უფლება თქვათ და დაწეროთ ის, რაც გსურთ, წაიკითხოთ, მოუსმინოთ და უყუროთ იმას, რაც გსურთ და შეგიძლიათ შეაგროვოთ ინფორმაცია ნებისმიერი წყაროდან, რადგან ასე შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ საკუთარი აზრი.

თვითგამოხატვის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი უფლებაა, მაგრამ მას ასევე მოჰყვება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. თვითგამოხატვის თავისუფლება ასევე ექვემდებარება გარკვეულ სამართლებრივ შეზღუდვებს. ზოგიერთი მოსაზრება და განცხადება შეიძლება დასჯადი იყოს, რადგან ისინი ზიანს აყენებს საზოგადოებას. თვითგამოხატვის თავისუფლების კანონიერი საზღვრების დარღვევას სიძულვილის ენა ეწოდება. სიძულვილის ენა დასჯადია.

მაგალითად, ბელგიაში შემდეგი განცხადებები დასჯადია:

- ☹ ვიღაც სოციალური მედიის საშუალებით გეი მამაკაცების მიმართ ძალადობისკენ მოუწოდებს
- ☹ ვიღაც ფლაერებს არიგებს ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ შეურაცხმყოფელი და სიძულვილით სავსე ტექსტებით

→ ეს მაგალითები გენდერულ და სექსუალურ მრავალფეროვნებას ეხება, თუმცა ბელგიაში სიძულვილის ენის სხვა ფორმებიც ისჯება. მაგალითად, შავკანიანების წინააღმდეგ ძალადობისკენ მოწოდებები.

გარდაქმნის პრაქტიკა

გარდაქმნის პრაქტიკები ბელგიაში დასჯადია. ეს არის პრაქტიკა, რომლის დროსაც ადამიანები ცდილობენ, ჩაახშონ ან შეცვალონ თქვენი სექსუალური ორიენტაცია, გენდერული თვითგამოხატვა ან გენდერული იდენტობა.

გარდაქმნის პრაქტიკის მაგალითებია:

- ☹ ეგზორციზმი, რომელსაც რელიგიური ლიდერი ლესბოსელ ქალზე ასრულებს
- ☹ მშობლები, რომლებსაც სურთ თავიანთი გეი შვილის „გამოსასწორებელ ბანაკში“ გაგზავნა, რათა „განკურნონ იგი ჰომოსექსუალობისგან“
- ☹ საუბრის სესიები, რომლებშიც „თერაპევტი“ ცდილობს ტრანსგენდერი ქალის „ნამდვილი გენდერული იდენტობის“ აღდგენას „ფსიქოთერაპიული სესიების“ მეშვეობით

ბელგიაში ყველას შეუძლია აირჩიოს პარტნიორი, იმ პირობით, რომ დაცული იქნება კანონით დადგენილი მინიმალური ასაკი. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ასევე თავისუფალი ხართ, გქონდეთ ურთიერთობა თქვენივე სქესის ადამიანთან. ასე მაგალითად, მამაკაცს შეუძლია, სხვა მამაკაცთან რომანტიკული ან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდეს. თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით, თქვენ თავისუფალი ხართ, აირჩიოთ თქვენი პარტნიორი.

ერთი და იმავე სქესის ადამიანებს ასევე შეუძლიათ (კანონიერად) ერთად ცხოვრება ან დაქორწინება. ასე რომ, ორ მამაკაცს ან ორ ქალს შეუძლია ერთმანეთზე დაქორწინება. ტრანსგენდერ ადამიანებს ასევე შეუძლიათ, დაქორწინდნენ ან (კანონიერად) იცხოვრონ პარტნიორთან ერთად. თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით (კანონიერად) თანაცხოვრების ან ქორწინებისთვის, შესაძლოა, თქვენს რეზიდენტობის სტატუსთან დაკავშირებული დამატებითი პირობები და ვალდებულებები არსებობდეს.

ბელგიაში ერთსქესიან წყვილებს და ტრანსგენდერ პირებს ასევე აქვთ შვილად აყვანის უფლება. შვილად აყვანის შესახებ კანონი ძალიან კომპლექსურია და შვილად აყვანის პროცედურა, როგორც წესი, რამდენიმე წელს გრძელდება. ბელგიაში, შვილად აყვანისთვის, ჩვეულებრივ, ბელგიის მოქალაქეობა უნდა გქონდეთ. ამიტომ, თავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურის დროს, ბელგიაში შვილად აყვანა შეუძლებელია.

გენდერის რეგისტრაციის შეცვლა

სქესის შეცვლის განაცხადის შეტანა შეუძლია ნებისმიერ ბელგიელს ან უცხოელთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს, თავის ოფიციალურ დოკუმენტაციაში. თქვენი სქესის რეგისტრაციის კორექტირებისას, „M“ იცვლება „F“-ით ან პირიქით. ბელგიაში „X“-ის ან სხვა სქესის რეგისტრაცია შეუძლებელია.

ამგვარად, ტრანსგენდერ ადამიანებს შეუძლიათ ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის შეცვლა. გენდერის ჩანაწერის შეცვლა ხდება ადამიანის თვითიდენტიფიკაციის საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ თქვენ მხოლოდ განცხადების წარდგენა მოგიწევთ და შემდეგ თქვენი რეგისტრაცია განახლდება. ამრიგად, ტრანსგენდერ ადამიანებს არ უწევთ სქესის დამადასტურებელი ოპერაციის ან ჰორმონოთერაპიის ჩატარება სქესის რეგისტრაციის შეცვლამდე. ეს ცვლილება თავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურის დროს ვერ განხორციელდება, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც თქვენ ლტოლვილად გაღიარებენ ან დამატებით დაცვას მიიღებთ.

ტრანსგენდერ ადამიანებს შეუძლიათ, მიმართონ სპეციალურ ტრანსგენდერულ ჯანდაცვის პროგრამებს. ამ გზაზე შესაძლებელია რამდენიმე სამედიცინო ეტაპის გავლა, როგორიცაა საკონსულტაციო სესიები და ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის ეტაპები თქვენი გენდერული იდენტობის დასადასტურებლად. ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის და მხარდაჭერის სერვისების მარშრუტის მოლოდინების სიები გრძელია და თავშესაფრით დაკმაყოფილების პროცედურის დროს ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის და მხარდაჭერის სერვისების მარშრუტთან წვდომა ძალიან შეზღუდულია.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ ეწვიოთ:

transgenderinfopunt.be

გაერთიანების თავისუფლება

თქვენ გაქვთ უფლება, თავისუფლად შექმნათ ან შეუერთდეთ გაერთიანებებს. ეს, სხვა საკითხებთან ერთად, ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ უფლება, შეუერთდეთ არსებულ ასოციაციებს ან ინიციატივებს, თავად დააარსოთ ისინი, დაესწროთ და ორგანიზება გაუწიოთ ხალხის მშვიდობიან შეკრებებს (მაგ., საპროტესტო აქციებს).

შესაძლებელია შეკრებების (მაგ., საპროტესტო აქციების ან გარკვეული ასოციაციების) შეზღუდვები ან აკრძალვები. თუმცა, ასეთი შეზღუდვები მხოლოდ მკაცრი პირობებით შეიძლება დაწესდეს.

ამრიგად, ბელგიაში, თქვენ გაქვთ უფლება, შეხვდეთ სხვა LGBTI+ ადამიანებს და მრავალფეროვანი SOGIESC-ის (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატულება, სქესის მახასიათებლები) წარმომადგენლებს. თქვენ გაქვთ უფლება, გამოხვიდეთ ქუჩაში თანასწორი უფლებების მოთხოვნით. პრაიდის მარშების გამართვა კანონიერია. შეგიძლიათ, გამოფინოთ ცისარტყელა დროშა და აჩვენოთ, რომ ამ საზოგადოების ნაწილი ხართ ან მხარს უჭერთ ამ ჯგუფის თანასწორ უფლებებს.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

გარკვეული დანაშაულები (მაგალითად, ქონების დაზიანება ან სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა) ბელგიაში უფრო მკაცრად ისჯება, თუ მოტივი LGBTI+ ადამიანების ან SOGIESC (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატულება, სქესის მახასიათებლები) ადამიანების მიმართ სიძულვილია. ს ნიშნავს, მაგალითად, რომ თუ დამნაშავე ტრანსგენდერ პირს ფიზიკურად ესხმის თავს ტრანსგენდერი პირების მიმართ მტრული განწყობის გამო, დამნაშავეს შეიძლება უფრო მკაცრი სასჯელი დაეკისროს.

რა მოხდება, თუ თქვენს უფლებებს პაციენტს არ სცემენ?

მაშინაც კი, თუ თქვენ გაქვთ ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები, შესაძლოა, მათ ყოველთვის არ სცენ პატივი. შესაძლოა, გარკვეულმა პირებმა პატივი არ სცენ თქვენს უფლებებს, ისევე როგორც ისეთმა ინსტიტუტებმა, როგორიცაა ბელგიის მთავრობა. როგორც LGBTI+ პირი ან SOGIESC (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატულება, სქესის მახასიათებლები) პირი, შესაძლოა, იყოთ ძალადობის მსხვერპლი.

მნიშვნელოვანია, განაცხადოთ, თუ თქვენი უფლებები ღარღვეულია.

ამის გაკეთება, შეგიძლიათ შემდეგი გზებით:

- თქვენს **ადვოკატთან** საუბარი;
- **LUMI**-ს დახმარებისა და მოსმენის ხაზთან დაკავშირება (ხელმისაწვდომია მხოლოდ ჰოლანდიურ და ინგლისურ ენებზე): lumi.be
- ანგარიშის წარდგენა **UNIA** (unia.be/en/report-discrimination ან დარეკვა 0800 12 800) თუ ხართ დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი. შემდეგ Unia-ს თანამშრომლებს შეუძლიათ გაგაცნონ თქვენი უფლებები და მოგცენ რჩევა და/ან გაგიწიონ დახმარება. Unia-მ ასევე შეიძლება გადაგამისამართოთ სხვა ორგანიზაციებთან, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ინსტიტუტი ან ფლამანდიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი;
- თუ ძალადობის მსხვერპლი, ასევე შეგიძლიათ, პოლიციას მიმართოთ. თუ არ გსურთ პოლიციაში მისვლა ან გაქვთ შეკითხვები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარიმართოს მოხსენება მხარდაჭერილი გზით, ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ Lumi-ს (იხილეთ ზემოთ);
- თქვენი თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებული კითხვებისთვის: დაუკავშირდით **VLUCHTELINGENWERK VLAANDEREN**-ის იურიდიულ დახმარებას (vluchtelingenwerk.be/startpunt/legal-help-desk)
- ან Vluchtelingenwerk Vlaanderen-ის საინფორმაციო ხაზს (vluchtelingenwerk.be/infolijn).

რა არის LGBTI+?



ამ ბროშურის პირველ თავში უკვე ავხსენით, თუ რას ვგულისხმობთ სიტყვებში სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, გენდერული თვითგამოხატვა და სქესობრივი მახასიათებლები.

შეიძლება ასევე გსმენიათ ისეთი ტერმინების შესახებ, როგორიცაა LGBTI+, LGBTQIA+, ქვიარი და ა.შ. ეს არის ქოლგა ტერმინები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ბელგიასა და სხვა დასავლურ ქვეყნებში მრავალფეროვანი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული თვითგამოხატვის ან სქესობრივი მახასიათებლების მქონე ადამიანების აღსანიშნავად. ამ ბროშურაში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს LGBTI+, თუმცა ყველა სხვა ტერმინიც სწორია.

ჩვენ ვიცით, რომ ეს სიტყვები და ტერმინები არ არსებობს ან ყველა ქვეყანაში არ გამოიყენება. პირიქით, ბელგიაში, ყოველთვის არ ვიცით სიტყვები, რომლებიც კარგად არის ცნობილი მსოფლიოს სხვა ნაწილებში. ამიტომ, კარგია იცოდეთ, რომ ეს ბროშურა მოამზადა ბელგიურმა ორგანიზაციამ, სადაც ჰოლანდიური ერთ-ერთი ოფიციალური ენაა.

შესაძლოა, საკუთარი თავის აღსაწერად სხვა სიტყვებს იყენებთ, ან არ გინდათ საკუთარი თავისთვის იარლიყის მიკერება. ეს სრულიად ნორმალურია. ბროშურის ამ ნაწილში მოკლედ განვმარტავთ ტერმინებს LGBTI+, რათა უკეთ წარმოგიდგინოთ ბელგიის დამოკიდებულება ამ თემის მიმართ.

რას ნიშნავს ასოები LGBTI+?

LGBTI+-ში თითოეული ასო აღნიშნავს სიტყვას, რომელიც ადამიანის რომანტიკულ ან სექსუალურ ორიენტაციაზე, გენდერულ იდენტობაზე, გენდერულ თვითგამოხატვაზე ან სექსუალურ მახასიათებლებზე მიუთითებს:

L

ლესბოსელი:

როგორც ქალს, თუ სხვა ქალები შეგიყვარდებათ და/ან ქალები სექსუალურად გიზიდავთ, შეგიძლიათ, საკუთარ თავს ლესბოსელი უწოდოთ.

G

გეი:

თუ შეგიძლია შეგიყვარდეს და/ან სექსუალური ლტოლვა გქონდეს შენივე სქესის ადამიანების მიმართ, მაშინ შეგიძლია საკუთარ თავს ჰომოსექსუალი (გეი) უწოდო. ამ ტერმინს ძირითადად მამაკაცები იყენებენ, რომლებსაც მამაკაცები იზიდავთ.

B

BI+

არის რამდენიმე სიტყვის ქოლგა ტერმინი: თუ შეგიძლია შეგიყვარდეს და/ან სექსუალური ლტოლვა გქონდეს არა მხოლოდ ქალების ან მამაკაცების, არამედ სხვადასხვა გენდერული იდენტობის მქონე ადამიანების მიმართაც, მაშინ შეგიძლია საკუთარ თავს ბისექსუალი უწოდო. პლუსი აღნიშნავს ნებისმიერ ადამიანს, ვინც აღიარებს ამ გამოცდილებას და გრძნობებს, მაგრამ საკუთარ თავს ბისექსუალად არ მიიჩნევს.

ტრანსგენდერი

არის ტერმინი, რომელიც აღწერს, რომ თქვენი გრძნობები საკუთარი თავის მიმართ (სრულად) არ ემთხვევა დაბადებისას მინიჭებულ სქესს - მამრობითი ან მდედრობითი. მაგალითად, თუ დაბადებისას ქალად იყავით რეგისტრირებული, მაგრამ თავს ქალად არ გრძნობთ, შეგიძლიათ საკუთარ თავს ტრანს(გენდერ)ი უწოდოთ.

სისგენდერი: თქვენ გიწოდებენ სისგენდერს, თუ თქვენი გენდერული იდენტობა ემთხვევა დაბადებისას მინიჭებულ სქესს. დაბადებისას მამაკაცად მიგიჩნიეს და თავს კაცად გრძნობთ? მაშინ თქვენ ცისგენდერი მამაკაცი ხართ.

არაბინარული: ადამიანები, რომლებიც თავს ქალებად არ გრძნობენ, მაგრამ ასევე არ გრძნობენ თავს მამაკაცებად, შეუძლიათ საკუთარი თავი არაბინარულებად აღიქვან.

ნაცვალსახელები: ნაცვალსახელები ბევრ ენაში არსებობს. ნაცვალსახელი არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს (ან ცხოველებს ან საგნებს) მათი სახელით მოხსენიების გარეშე. ინგლისურ ენაზე ამის რამდენიმე მაგალითია:

- ქალი ველოსიპედით მიდის საცხობში. მას ჰყავს ლურჯი ველოსიპედი. ამ მაგალითში „მას“ არის პირის ნაცვალსახელი, რომელიც აღნიშნავს „ქალს“.

- იცნობთ იმ მომღერალს? არა, მე მას არ ვიცნობ. ამ მაგალითში „მას“ არის პირის ნაცვალსახელი, რომელიც აღნიშნავს „იმ მომღერალს“.

- ხალხი სადილობს. ისინი სიამოვნებით მიირთმევენ თავიანთ საჭმელს. ამ მაგალითში „ისინი“ არის პირის ნაცვალსახელი, რომელიც აღნიშნავს „ხალხს“. „მათი“ არის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც მიუთითებს, რომ საკვები ხალხს ეკუთვნის.

ინგლისურ ენაში ნაცვალსახელები არსებობს ვინმეს აღსანიშნავად, თუ არ იცით, სურს თუ არა ამ ადამიანს, მოიხსენიონ მამაკაცად, ქალად თუ არცერთად. ნაცვალსახელები „ისინი“ და „მათ“ დიდი ხანია დამკვიდრებულია ამისთვის.

ბელგიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში, ზოგიერთი ადამიანი საკუთარი თავის წარდგენისას ნაცვალსახელებს ახსენებს, რათა ნათლად აჩვენოს, თუ როგორ სურს, რომ მიმართონ. ადამიანებს ასევე შეუძლიათ იკითხონ სხვა ადამიანების გენდერული ნაცვალსახელები, რათა მათ სწორად მიმართონ. ამას ყველა არ აკეთებს და ეს ძირითადად LGBTI+ თემში ხდება.

ინტერსექსი:

თმის ფერი, თვალის ფერი, ცხვირის ზომა... ეჭვი არ გვეპარება, რომ ყველა ერთნაირად არ გამოიყურება. ზოგიერთ ადამიანს ყავისფერი თვალები აქვს, ზოგს კი - ლურჯი. ასევე გაცილებით მეტი ვარიაციაა შესაძლებელი სქესობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით.

ადამიანებს, რომლებიც იბადებიან სქესობრივი მახასიათებლების ვარიაციით, ინტერსექს ადამიანებს უწოდებენ. დასავლეთის ქვეყნებში დიდი ხანია ჩვეულებაა, რომ სამედიცინო ჩარევა მოხდეს და ეს ადამიანები მამაკაცებად ან ქალებად იქცნენ. ამგვარად, ისინი უკეთ ჯდებიან საზოგადოებაში არსებულ დაყოფაში, რომელსაც შეჩვეულები ვართ. მაგრამ ეს ხშირად საერთოდ არ არის აუცილებელი. სხვა თანდაყოლილი ვარიაციების მსგავსად, როგორიცაა თმის ან თვალის ფერი, სქესობრივი მახასიათებლების ვარიაციები თითქმის არასდროს იწვევს პრობლემებს. ინტერსექსი ადამიანები ეწინააღმდეგებიან არასაჭირო და არანებაყოფლობით სამედიცინო ჩარევებს. შედეგად, იზრდება ყურადღება ასეთი ჩარევების მავნე ზეგავლენის მიმართ.

იცოდით? მსოფლიო მასშტაბით, ყოველი 100 ადამიანიდან დაახლოებით 1-დან 2-მდე ინტერსექსუალურობის ვარიაციებით იბადება.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ ეწვიოთ:

interseksevlaanderen.be
და oiieurope.org.

+:

+ სიმბოლო აღნიშნავს ყველას, ვინც არ არის ჰეტეროსექსუალი და/ან არ ჯდება მამაკაცი-ქალის ბინარულ სისტემაში, მაგრამ LGBTI+ ასოებიდან არცერთთან არ იდენტიფიცირდება.

ერთ-ერთი მაგალითია ქვიარი. „ქვიარი“ კიდევ ერთი სიტყვაა თქვენი სექსუალური/რომანტიკული ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის აღსაწერად, LGBTI+-ის გამოყენების ნაცვლად. ის ხშირად გამოიყენება, როგორც ქოლგა ტერმინი იმ ადამიანების აღსანიშნავად, რომლებიც ჯერ კიდევ ეძებენ თავიანთ ადგილს LGBTI+ საზოგადოებაში. მას ასევე ხშირად იყენებენ ადამიანები, რომლებსაც სურთ, მკაფიოდ გააპროტესტონ მამაკაცი/ქალი წყვილების ნორმა და გენდერული ბინარული დაყოფა.

თეითიდენტიფიკაცია

არსებობს მრავალი განსხვავებული ტერმინი, რომელთა გამოყენებაც შეგიძლიათ საკუთარი თავის მისაკუთვნებლად ან აღსაწერად. ზოგიერთი ადამიანი შეგნებულად ირჩევს, სრულიად არ მიაკუთვნოს საკუთარი თავი. სხვები ძალიან სპეციფიკურ მიკუთვნებას ირჩევენ. თქვენ გადაწყვეტთ, გამოიყენოთ თუ არა და რომელი მიკუთვნება გამოიყენოთ თქვენთვის.



ენები

ენა ყოველთვის იცვლება. ასევე, ყველა ენას არ აქვს ტერმინოლოგია ინგლისურში ხშირად გამოყენებული LGBTI+ ტერმინებისთვის. ზოგიერთი ტერმინი, რომელიც ხუთი წლის წინ ინგლისურ ენაში ძალიან პოპულარული იყო, ახლა აღარ გამოიყენება. ამჟამად უცნობი ტერმინები შესაძლოა ერთი წლის განმავლობაში კვლავ ფართოდ იქნეს გამოყენებული.

სხვადასხვა ენაზე ტერმინებისა და განმარტებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს [SOGIESC-ის (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატულება, სქესის მახასიათებლები) მრავალენოვან ინფორმაციასთან წვდომის ბმული].

სხვადასხვა ენაზე ტერმინებისა და განმარტებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს: cavaria.be/informatie-over-gender-en-seksuele-diversiteit-in-verschillende-talen

სასარგებლო ბმულები

ამ ვებსაიტზე შეგიძლიათ იპოვოთ ინფორმაცია იმ ორგანიზაციებისა და ინიციატივების შესახებ, რომლებსაც შეგიძლიათ მიმართოთ, როგორც LGBTI+ და პირმა მრავალფეროვანი SOGIESC-ით (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატულება, სქესის მახასიათებლები): cavaria.be/sociale-kaart

წყაროები: Çavaria, KLIQ, Lumi, Transgender Infopunt, Vluchtelingenwerk Vlaanderen, Unia, Amnesty International

გამომცემელი: Yves Aerts – Kammerstraat 22 – 9000 Ghent

2025 წელს დაწერილი ეს ბროშურა შეიქმნა პროექტის „უსაფრთხო სივრცეები LGTBI+ თავშესაფრის მაძიებლებისთვის“ ფარგლებში. ბროშურა KLIQ-ისა და avaria-ს ინიციატივაა, ევროკავშირის მხარდაჭერითა და თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდის (AMIF) მეშვეობით.

Gefinancierd door de Europese Unie